ხელშეკრულება № 120
(სახელმწიფო შესყიდვების შესახებ)

ქ.თბილისი **20 იანვარი 2020 წელი**

სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (შემდგომში "შემსყიდველი") მისი გენერალური დირექტორის მოადგილის ალექსანდრე ტურძილაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ლაშა კილაძის სახით ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საფუძველი

1.1. „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონი.
1.2 „2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N674 დადგენილება (შემდეგში - „დადგენილება").
1.3 „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონი.
1.4 „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის "დ" ქვეპუნქტი.
1.6 „აივ-ინფექცია/შიდსის" სახელმწიფო პროგრამა. აივ-ინფექციაზე/შიდსზე ნებაყოფლობითი კონსულტირებისა და ტესტირების კომპონენტი.
1.7 ხელშეკრულების მონაწილე მხარეებზე ვრცელდება ზემოაღნიშნული „დადგენილების" პირობები.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 „აივ-ინფექცია/შიდსის" სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში - „აივ ინფექცია/შიდსის" სახელმწიფო პროგრამის B და C ჰეპატიტების მქონე(ანტისხეულ ან/და ანტიგენ დადებითი) პაციენტების აივ-ინფექცია/შიდსზე ნებაყოფლობითი კონსულტირება (ტესტის წინა და ტესტის შემდგომი) და ტესტირება (CPV85100000 SMP190005020).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს - 2420.00 (ორი ათას ოთხასოცი) ლარი მ. შ. 2020 წლის დეკემბრის თვის ღირებულებაა -201.63 ლარი, ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

4. ხელშეკრულების ფარგლებში გასაწევი მომსახურება

4.1 ხელშეკრულების ფარგლებში "მიმწოდებელმა" უნდა განახორციელოს აივ-ინფექციაზე/შიდსზე ნებაყოფლობითი კონსულტირება (ტესტის წინა და ტესტის შემდგომი) და ტესტირება, რომელიც მოიცავს:

ა) B და C ჰეპატიტების მქონე(ანტისხეულ ან/და ანტიგენ დადებითი) პაციენტების აივ-ინფექცია/შიდსზე ნებაყოფლობით კონსულტირებას და გამოკვლევას სკრინინგული მეთოდებით (რაოდენობა **150** კვლევა, მათ შორის დეკემბრის თვეში - **13**; ერთეულის ღირებულება - 15.53 ლარი, მათ შორის ტესტის წინა კონსულტაცია - 5,65 ლარი, სკრინინგი - **5,68** ლარი, ტესტის შემდგომი კონსულტაცია - 4,20 ლარი);
ბ) სკრინინგით დადებითი პაციენტების სისხლის ნიმუშების მიწოდება სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრისათვის" შემდგომი კონფირმაციული კვლევისა და შედეგის დადასტურების შემთხვევაში პაციენტის ანტირეტროვირუსულ მკურნალობაში ჩასართავად;
გ) „C ჰეპატიტის მართვის" სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მიმწოდებელთან დარეგისტრირებული ბენეფიციარების სავალდებულოდ უზრუნველყოფა „ბ" ჰეპატიტისა და სეზონური გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინებით აცრის მომსახურებით;
დ) მიმწოდებელს შეუძლია სკრინინგისათვის გამოყენებული სახარჯი მასალის ღირებულების მოთხოვნა დადგენილებით განსაზღვრული ღირებულების 0,6 ლარის ფარგლებში (ანაზღაურდება ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით, მაგრამ არა უმეტეს დადგენილი ტარიფისა) მას შემდეგ რაც ამოწურავს შემსყიდველის მიერ გადაცემულ მარაგებს.
ე) „ბ" ჰეპატიტის და სეზონური გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინები „იმუნიზაციის" სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გადაეცემა შემსყიდველისგან, მიმწოდებლის ფაქტიური მისამართის მიხედვით აღნიშნული

მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისგან, მოთხოვნის შესაბამისად;
ვ) თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ტესტის წინა და ტესტის შემდგომ კონსულტაციებს, მან უნდა განახორციელოს აივ-ინფექცია/შიდსზე მხოლოდ სკრინინგი, ხოლო სკრინინგით დადებითი პირის სისხლის ნიმუში მიაწოდოს სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკულ ცენტრს" შემდგომი კონფირმაციული კვლევისა და დადასტურების შემთხვევაში პაციენტის ანტირეტროვირუსულ მკურნალობაში ჩასართავად.

5.შესყიდვის ობიექტის ხარისხი

5.1 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
5.2 „მომსახურების" უხარისხობის შემთხვევაში „შემსყიდველი" წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს" წუნდების მიზეზების მითითებით. „მიმწოდებელი" საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტის ნაკლის აღმოფხვრას „შემსყიდველის" ინტერესების გათვალისწინებით.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადები

6.1 "მომსახურების" გაწევის ვადაა 2020 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
6.2გაწეული მომსახურების ანგარიშგების ადგილი - თბილისი, კახეტის გზატკეცილი #99, სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.
6.3 გაწეული მომსახურების ანგარიშგების ფორმა - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანდაცვის დეპარტამენტთან შეთანხმებით შემსყიდველი ს ინდივიდუალური ორგანიზაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმები და მათი შევსების ინსტრუქცია, რომელიც განთავსებულია ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე www.ncdc.ge;.
6.4 „მომსახურების" ანგარიშგება ხორციელდება დადგენილების მე-9 მუხლით განსაზღვრული ვადებისა და პირობების შესაბამისად.
6.5 საქონლის მიღების, ხარჯვისა და არსებული მარაგების თაობაზე ინფორმაცია მიმწოდებლის მიერ, ასევე დარეგისტრირებული უნდა იქნას სასაქონლო მარაგების მართვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში;

7.შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 „მიმწოდებელი" ყოველთვიურად წარმოადგენს ანგარიშს ნაბეჭდი და ელექტრონული (Sylfaen) სახით მის მიერ საანგარიშგებო თვეში გაწეული „მომსახურების" შესახებ, ხელშეკრულების „6.3" და „6.4" პუნქტებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.
7.2 „მიმწოდებელი" „შემსყიდველის" მოთხოვნის შესაბამისად წარმოადგენს სრულ წერილობით ინფორმაციას „მომსახურების" მიმდინარეობის შესახებ.
7.3 „მიმწოდებელი" სრულად აგებს პასუხს მის მიერ მიწოდებული ანგარიშების უტყუარობაზე.
7.4. „მიმწოდებელი" ადგილზე ინახავს ანგარიშებს და პირველად დოკუმენტაციას დადგენილი წესის შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში პირველივე მოთხოვნისთანავე წარუდგენს „შემსყიდველს".
7.5 „შემსყიდველის" მიერ მიწოდებული, „მიმწოდებლის" მიერ გამოუყენებელი ტესტ–სისტემები მომსახურების გაწევის ვადის გასვლის შემდეგ დაბრუნებული უნდა იქნას „შემსყიდველისათვის"არაუგვაინეს 10 კალენდარული დღისა.
7.6 არასწორად ან/და არასრულად წარმოდგენილი ანგარიშსწორების ფორმა უბრუნდება „მიმწოდებელს" მის საბოლოო შესწორებამდე, ამასთან შედეგებზე იგი პერსონალურად აგებს პასუხს.
7.7 „შემსყიდველისა" და „მიმწოდებელს" შორის მომსახურეობის შესრულებაზე ყოველთვიურად განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ორი რჩება შემსყიდველთან, ხოლო ერთი ეძლევა მიმწოდებელს.
7.7.1. მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებაზე და ინსპექტირებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ანგარიშგების სამმართველოს უფროს სპეციალისტ ხათუნა პასიკაშვილს, პროგრამების მართვის სამმართველოს ასისტენტს ნანა სურმავას და პროგრამების მართვის სამმართველოს უფროსს ეთერ ყიფიანს, ხოლო მათი არ ყოფნის შემთხვევაში შესაბამის მოვალეობის შემსრულებელს.
7.8 „შემსყიდველი" ითვალისწინებს, რომ „მიმწოდებლისათვის" სრულადაა ცნობილი დასახული ამოცანები და

მათ შესასრულებლად გამოსაყენებელი ნორმატიული დოკუმენტაცია.

8.ანგარიშსწორების წესი, ფორმა და ვადები

8.1. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება.

8.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

8.3. ანაზღაურება განხორციელდება მე-3, მე-4 და მე-7 მუხლებით გათვალისწინებული პირობების დაცვით, ფაქტიურად გაწეული მომსახურების მოცულობის შესაბამისად.

8.4. მიმწოდებელთან საბოლოო ანგარშსწორება მოხდება ყოველთვიური მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 30 დღის ვადაში.

9.მხარეთა უფლება-მოვალეობები

9.1 „შემსყიდველი" ვალდებულია:

9.1.1. აცნობოს „მიმწოდებელს" ყველა მომხდარ ცვლილებათა შესახებ, რომელიც პირდაპირ ან ირიბად შეიძლება ეხებოდეს ხელშეკრულების პირობებს.

9.2 „მიმწოდებელი" ვალდებულია:

9.2.1 მიაწოდოს „შემსყიდველს" „მომსახურება", რომელიც სრულად შეესაბამება ხარისხით და სხვა ყველა მონაცემებით „შემსყიდველის" დაკვეთას

9.2.2 აცნობოს „შემსყიდველს" ყველა იმ ცვლილებათა შესახებ, რაც პირდაპირ ან ირიბად ეხება ხელშეკრულებას.

9.2.3 დროულად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულებანი.

9.2.4 „შემსყიდველს" ყოველთვიურად შესაბამისი საანგარიშგებო დოკუმენტაცია წარუდგინოს არაუგვიანეს შესრულებული სამუშაოს თვის მომდევნო თვის 10 რიცხვისა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის #217/ო ბრძანებით დამტკიცებული გაიდლაინით განსაზღვრული აივ ინფექციაზე კვლევის ანგარიშის ფორმა #1, (excel ფორმატით) მოწოდება განსაზღვრული ვადების დაცვით.

9.2.5. განახორციელოს მომსახურება მას შემდეგ, რაც ცენტრის მიერ მოხდება მათი ტესტებითა უზრუნველყოფა;

9.2.6 ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების უწყვეტად გასაწევად, შემსყიდველისგან დროულად (მინიმუმ 2 კვირით ადრე) მოითხოვოს შესაბამისი ტესტები და შეავსოს მათი მინიმალური მარაგები.

9.3 „შემსყიდველი" უფლებამოსილია:

9.3.1 მოითხოვოს „მიმწოდებლისაგან" ხელშეკრულების ყველა პუქნტის უცილობელი შესრულება.

9.3.2 უარი განაცხადოს ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებელი" დაარღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს ან მის წინაშე დადგენა დაუძლეველი ძალა.

9.3.3 არ სცნოს „მიმწოდებლის" არცერთი ვალდებულება, რომელიც არაა განსაზღვრული ამ ხელშეკრულებით.

9.4 „მიმწოდებელი" უფლებამოსილია:

9.4.1 მოითხოვოს „შემსყიდველისაგან" მის მიერ მიწოდებული „მომსახურების" ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობით.

9.4.2 განაცხადოს უარი ხელშეკრულების შესრულებაზე ან მის გაგრძელებაზე, თუ „შემსყიდველის" მიერ სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის გამო მისთვის შეუძლებელი ხდება „მომსახურების" მიწოდება ან მის წინაშე დადგა დაუძლეველი ძალა.

9.4.3 აწარმოოს მოლაპარაკება „შემსყიდველთან" სახელშეკრულებო პირობებში კანონით დაშვებული ცვლილებების შეტანისათვის.

9.4.4 მიმართოს სასამართლოს ან სხვა ორგანოებს „შემსყიდველის" მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო.

9.4.5 მოითხოვოს „შემსყიდველისაგან" რეალური ზარალის ანაზღაურება, რაც გამოიწვია მისი მხრიდან ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევამ.

9.5 „მხარეები" ვალდებულნი არიან:

9.5.1.მხარეები ვალდებული არიან ამ ხელშეკრულების დადების და შესრულების პერიოდში ერთმანეთისთვის გადაცემული და გადასაცემი პერსონალური ინფორმაცია მიიჩნიონ კონფიდენციალურ ინფორმაციად (ხოლო, კანონმდებლობით დაშვებულ ფარგლებში - კომერციულ საიდუმლოებად) და იღებენ ვალდებულებას არანაირი სახით არ გაახმაურონ კონფიდენციალური ინფორმაცია და არ გახადონ ის ხელმისაწვდომი მესამე პირისათვის, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.5.2 მხარეები იღებენ ვალდებულებას მთლიანად აანაზღაურონ მეორე მხარისათვის კონფიდენციალური ინფორმაციის გახმაურებით გამოწვეული ზიანი.

10.ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა (პირგასამტეხლო)

10.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულებისათვის „მიმწოდებელს"ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა.

10.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში „მიმწოდებელს" ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა გასაწევი „მომსახურეობის" ღირებულების 2%-ის ოდენობით.

10.3. იმ შემთხვევაში, თუ პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

10.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.5. „შემსყიდველს" შეუძლია ასევე მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, „მიმწოდებლისათვის" ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

10.5.1. თუ „მიმწოდებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან „შემსყიდველის" მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს „მომსახურება";

10.5.2. თუ „მიმწოდებელს" არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება, რომელიც ცვლის პირობებს, რის გამოც ვერ განხორციელდება „მომსახურების" მიწოდება სრულად ან დადგენილ ვადებში;

10.5.3 თუ ხელშეკრულების შესრულების გაგრძელება მიზანშეუწონელია „შემსყიდველის" ფინანსური ინტერესებიდან გამომდინარე.

10.5.4. თუ „შემსყიდველისათვის" ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

10.5.5. „მიმწოდებლის" გაკოტრების შემთხვევაში.

10.6. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიწმოდებელს" დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.7. „მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს პირგასამტეხლოს თანხის გადახდა წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

11. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

11.1. „მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და შესაბამისად „მომსახურების" მიზნობრივად გატარების შესახებ „შემსყიდველი" უფლებამოსილია:

11.1.1. უშუალოდ განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი, რომელიც შეეხება ყოველთვიური „მომსახურების" პერიოდს (ან „მომსახურების" დასრულებულ ციკლს).

11.1.2. არ აანაზღაუროს ხელშეკრულების შესრულების კონტროლის შედეგად არაკორექტულად მიჩნეული გაწეული „მომსახურების" ხარჯები მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში.

11.1.3. განახორციელოს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შედარება „მიმწოდებლის" მიერ შეტყობინებისას დაფიქსირებულ მონაცემებთან და შემთხვევების შერჩევითი შემოწმების შედეგებთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

11.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საანგარიშგებო დოკუმენტების ინსპექტირების ვადაა საანგარიშგებო დოკუმენტაციის წარდგენიდან არაუმეტეს 45 სამუშაო დღე.

12. ხელშეკრულების სხვა პირობები

12.1. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ხდება მხოლოდ მხარეების მიერ წერილობითი შეთანხმებით და ფორმდება ხელშეკრულების დანამატის სახით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

12.2 „მიმწოდებელს" არ აქვს უფლება „შემსყიდველის" წერილობითი თანხმობის გარეშე მოახდინოს მესამე პირისათვის უფლებების გადაცემა.

12.3. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით და კანონქვემდებარე აქტებით განსაზღვრული შემთხვევებისა.

12.4 ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

12.5. „მიმწოდებელი" ვალდებულია 2 თვით ადრე აცნობოს „შემსყიდველს" ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე. ამ ვადის განმავლობაში „მიმწოდებელი" ვალდებულია, უზრუნველყოს პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების უწყვეტობა.

12.6. ხელშეკრულების შესრულების შეფერხების შემთხვევაში მხარეები დაუყოვნებლივ წერილობით ატყობინებენ ერთმანეთს და ღებულობენ ერთობლივ გადაწყვეტილებას.

12.7. ხელშეკრულების შეწყვეტა/დასრულებიდან 10 კალენდარულ დღეში „მიმწოდებელი" ვალდებულია მატერიალური ფასეულობის ნაშთები უნდა დაუბრუნოს „შემსყიდველს".

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1. „შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" უნდა იხმაროს ყველა ღონე, რათა მათ შორის, ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ, მოაგვარონ მოლაპარაკების წესით.

13.4. თუ „შემსყიდველი" და „მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ სადაო საკითხის მოგვარებას მოლაპარაკების გამართვის შემდეგ, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს, რის შესახებაც იგი წინასწარ აცნობებს მეორე მხარეს.

14. გამოსაყენებელი სამართალი

14.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

15. ხელშეკრულების ენა

15.1. ხელშეკრულების ენაა ქართული. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის უნდა შეესაბამებოდეს სახელშეკრულებო პირობებს.

16. ურთიერთობა მხარეებს შორის

16.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

16.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1 ხელშეკრულება შედის ძალაში მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან.

17.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა:2020 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 1 მატამდე.

18. დამატებითი პირობები

18.1. ხელშეკრულება შედგენილია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

19. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“
თბილისი კახეთის გზატკეცილი #99
საიდენტიფიკაციო კოდი 211324351
ქ. თბილისი, სახელმწიფო ხაზინა
კოდი TRESGE22
ანგარიშის # GE24NB0330110020016502 2
გენერალური დირექტორის მოადგილე:

ალექსანდრე ტურძილაძე

L Sakvarelidze National Center For Disease Control and Public Health

Digitally signed by L Sakvarelidze National Center For Disease Control and Public Health
Date: 2020.01.20 16:04:12 +04'00'

„მიმწოდებელი“

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“
მისამართი: თბილისი ქავთარაძის ქ 21ა
საიდინფიკაციო კოდი: 404945164
სს თიბისი ბანკი
ბანკის კოდი: TBSBGE22
ა/ნ CE05TB7810436020100001
გენერალური დირექტორი:

ლაშა კილაძე

LTD Center for Mental Health and Prevention of Addiction

Digitally signed by LTD Center for Mental Health and Prevention of Addiction
Date: 2020.01.20 15:51:37 +04'00'

ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის ხელწერილი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის (მუხლი 8) შესაბამისად ქვემოთ ხელისმომწერი პირები ვადასტურებთ, რომ მიმწოდებელთან ურთიერთობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ვიზა: ო. ნამიჭეიშვილი

ვ. გეთია

გ. ქობალია

ლ. ებანოიძე

ნ. მარჯანიძე

შ. ჭილაშვილი

ე.ყიფიანი

ხ. პასიკაშვილი

ნ. სურმავა

ა. მეტრეველი

შემსრულებელი: კ. გულუა